

# ღილა

„აზერბეიჯი, ტურქი ქვეყანა,  
ილხინე, ჭრუეღლთ მხარეო,  
და შენც, ქართულო, სწავლითა  
სამსიალთა გავსარეო!“

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის





## ჩვენი ღერბი

ჩვენი ღერბი გვირგვინია  
მოოქრული, მინანქრული,  
გარს თვითავე ასევეია  
სვაფიანი, შირაქული.

ჩვენი ღერბი გვირგვინია  
განახლებულ ქართლის სნისა,  
შიგ ჩუქურთმად ჩაწნულია  
ვაზი კახურ ვენახისა.

ჩვენი ღერბი გვირგვინია  
კამარჯვებულ ქართველ ერის,  
ზედ ჩაქუჩი ასატია, —  
რუსთავედი რამ კრდემდსე ძღერის.

ჩვენი ღერბი გვირგვინია  
აშურის და იმერისა,  
აფხავებულ საქართველისა  
ზეიმის და სიმღერისა.





4007

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

# ოცდაათი შეუსრულდა

ოცდაათი შეუსრულდა  
ჩვენს საბჭოთა საქართველოს,  
დიდ ოჯახის  
თვალმარცვლიტს,  
საუფარველს და სასახელოს.

ის ჩემ ჩვენი საშობლოა,  
ტუბილი, როგორც იანანა, —  
დიდი მამის  
ბრძნულმა აზრმა  
მზიურ ბაღს რომ დაამკვანა.

ჩვენ ბერის თვალი გვიმხერს  
სიუფარულით მომდიმარი,

და იღება უფრო ფართოდ  
მშობლიური სკოლის კარი.

და ჩვენც ვსწავლობთ,  
ვსწავლობთ,  
ვსწავლობთ,  
ხვალინდელ დღით ვსარობთ თანაც,  
რომ ერთგულად ვემსახუროთ  
საბჭოეთის დიდ ქვეყანას.

დღეგრძელობდეს, სულ ჰქეაოდეს,  
მშვიდობის გზით მარად ვვლოს, —  
საქართველოს გაუმარჯოს,  
ჩვენს საბჭოთა საქართველოს!

პ რ მ მ ნ ე ლ ი

## დავესწრებით არჩევნებს

საარჩევნო უბანში  
უნდა წავუვე ხვალ ჩვენებს,  
იქ ხმას როგორ აძლევენ,  
მე დედიკო მაჩვენებს.  
ნუნუც მოდის, თემურიც, —  
დავესწრებით არჩევნებს!

ილია სიხარულიძე





## ლავრენტი ბერიას

მას უმღერის,  
მას შეჰხარის  
სტალინის მზით დახატული  
ჩვენი დედა-საქართველოს  
ოცდაათი გაზაფხული.

ჩვენც გვსურს ჩვენი კარგი ქცევით  
მისი გული გავახაროთ.  
უფრო ხარბად დავეწაფოთ  
წიგნს—ცოდნის და სიბრძნის წყაროს.

გვინდა კარგად შევასრულოთ  
უფროსების დარიგება,  
რომ დიდ სტალინს  
კრემლში უთხრას  
საქართველოს ბავშვთა ქებაც.

მისი ზრუნვით ვიფურჩქნებით,  
მისი თვალი მხნედ გვდარაჯობს  
დიდება ჩვენს მოამაგეს,  
ჩვენს ბერიას გაუმარჯოს!

იოსებ ნუნუაშვილი

## საძირკველი ჩადგაო...

პატარა თინა ლოგინში თბილად გახვეულიყო და თვლევდა. მის უმცროს ძმას შოთას რახანია ტკბილად ეძინა. ვარეთ სუსხიანი ქარი გრიალებდა, აწყდებოდა კარ-ფანჯარას და თითქოს ოთახში შემოქრას ლამობდა.

აღულუნებულ ცეცხლს უფროსები შემოსხლომოდნენ. მათი საუბარი კარგად ესმოდა თინას:

— საქმეს ხვალ დილიდანვე უნდა შევეუდგეთ, ხომ გავიგონათ:

„თებერვალი დადგაო,  
ხეში წყალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო  
საძირკველი ვადგაო...“

დინჯად თქვა პაპა თედომ.

— ჯერ ისევ ცივა, იქნებ მოთოვოს კიდევ ამაღამ!

თქვა თინას მამამ, წამოდგა, ოთახის კარი გამოაღო და ცას გახედა. სოფლის ორღობეში მოხეტიალე ქარი თითქოს ამას ელოდა, ოთახში შემოიქრა და კორიანტელი დააყენა.

— არა, შეილო, სანამ კოლექტივში სამუშაოები დავეწყება, უნდა მოვასწოროთ საძირკვლის გაქრა... თუნდაც მოთოვოს, მალე აიღებს.— დაბეჯითებით თქვა მოხუცმა.

— მაშ კარგი, ხვალ დილაადრიან ავდგეთ... ამ ძველ სახლში ცხოვრება აღარ შეიძლება, ბავშვები გეზრდებიან!

უფროსებმა ლოგინში თბილად განაბულ ბავშვებს სიყვარულით გადახედეს.

თინამ თვლები მილულა. ის ტკბილ ძილს მიეცა, სიზმარში ახალს, მშვენიერსა და ლამაზ სახლს ხედავდა, რომელიც მის წინ ვადაშლილ ველ-მინდორს ამაყად გადაჰყურებდა.

მეორე დილით თინა და შოთა ჩვეულებრივზე არც ადგნენ, ისაუზმეს, ჩანთებში წიგნები და რვეულები ჩაალაგეს და ვარეთ გამოვიდნენ.

ქარი ჩამდგარიყო, მაგრამ დილის სუსხი

მაინც ტრიალებდა პაერში. ზამთრის მიწურულის მზე სუსტად ათობდა მიდამოს. ჯერ თოვლი კარგად არ დამდნარიყო. ახლოს მოჩანდა აქრელებული ფერღობები, შორს კი—მაღალი დათოვლილი მთები.

ძველი გზოს მოშორებით, შემადლებულ ადგილას, პაპა თედო და თინას მამა წერაქვით მიწას თხრიდნენ. იქვე კოლექტივის სატვირთო მანქანა იდგა, რომლითაც მეზობლის ბიჭები ქვასა და ქვიშას ეზიდებოდნენ.

სკოლისავე მიმავალი ბავშვები შეჩერდნენ.

მართლაც კარგი ადგილი ამოერჩიათ ახალი სახლისათვის. რა კარგი იქნება აქ ცხოვრება! უკან ქოჩორა ტყეა, წინ—ვრცელი ვენახები და მინდვრება ვაშლილი, შორს კავკასიონის დათოვლილი ქედი მოჩანს.

— ნეტავ რისთვის თხრიან მიწას?— იკითხა შოთამ.

თინას წუხანდელი საუბარი გაახსენდა და ამაყად თქვა:

— ახალი სახლის საძირკველს დგამენ!

— უჰ, რა კარგია, ახალი სახლი გვექნება!— იძახდა შოთა და ხტუნვით მიზობდა ორღობეში.

მზიანი დილა სინაზრულით აესებდა ბავშვების გულს. ზამთარი მიიპარებოდა. გაზაფხული, სანატრელი გაზაფხული ახლოვდებოდა. ადრეულ ენქელას თავი ამოეყო ღობის ძირებში მინამქრული თოვლიდან.

ლობიდან ჩიტი წამოფრინდა და ბავშვებს თავს გადაეფელო.

— ჩიტი, ჩიორა ჩიტი!— წამოიძახა შოთამ და ღობეს თვალიერება დაუწყა.

„ჩიტმა ჩიორამაო

საძირკველი ვადგაო.“

გაახსენდა თინას პაპა თედოს წუხანდელი ნათქვამი და ისიც ღობესთან მივიდა.

— ხედავ, ჩიორა ბუდეს აშენებს, შენც, რა ლამაზია, პატარა ნაბდის ქულსა ჰგავს!— წამოიძახა შოთამ და ბუდეს ხელი წაატანა.

— მოიცა, არ ჩამოშალი!— შეაჩერა თინამ.





— კი არ ჩამოვწლი, სკოლაში წავიღებ და ბუნებისმეტყველების ოთახში ჩამოვიკიდებ!

— არა, შარშანდელი ბუდე მოგნახოთ; ეს ხომ ჯერ დამთავრებულიც არ არის.

— ეჰ, სადა მცალია შარშანდლის საძებრად, საცაა ზარი დაირეკება!

შოთა ბუდეს წაეტანა, თინამ ხელი დაუჭირა და ევლებით უთხრა:

— შოთა, შენ ხომ გიხარია, რომ ჩვენთვის ახალ სახლს აშენებენ, ხომ გიხარია, რომ მალე ელექტრონით გაშუქებულ ახალ სახლში ვიცხოვრებთ?

— მიხარია, მერე რა გინდა?

— ამ ჩიორასაც უხარია თავის ახალ ბუდეში ცხოვრება, ბარტყების გაზრდა და დაფრენა. ხედავ, როგორ დაგვტრიალებს თავს!

მართლაც ჩიტი შორიხსლოს დაფრინავდა,

გამწარებული კყოდა, კისერი წაეგრძელებინა და ჰაერში ფრთებს სუსტად აფართხუნებდა, თითქოს ბავშვებს ევეღრებოდა: ბუდეს ნუ დამინგრევთო.

შოთამ ბუდეს ხელი გაუშვა.

— მართლაც სჯობს შარშანდელი ბუდე მოგნახოთ სადმე, დაე, მაგათაც გაიხარონ!

ბავშვები გზას გაულგნენ. მიდიოდნენ და თან უკან იხედებოდნენ. ათ თვალი მოჰკრეს გახარებულ ჩიტს, რომელიც მზიარული ჰიკიკით ბუდისაკენ მიფრინავდა.

— კარგი ვქენი, რომ დაგიჯერე, — ეუბნებოდა ღიმილით მიმავალი შოთა თინას. — ამ ზაფხულს ჩვენც ახალ ბინაში ვიცხოვრებთ და ამ ჩიორას ბარტყებიც. სკოლიდან რომ დაეზრუნდებით, მამას და პაპა თელღს მივეშველოთ, რომ ჩიორამ არ დაგვასწროს სახლის აშენება!

**ზაპაჩი პერაზალიმპილი**

**ყოჩაღი გოგია**

ყოჩაღი არის გოგია —  
წამოხტა დილაღრიანს,  
ხედავს: თოვლის მთედი სოფელი  
წელამდე დაუბარდნია.  
თოვლით დაფარულ სახურავს  
თოვდავს გოგაის მამილი.  
ბაღს გადახედა გოგიამ  
და ერთი ფიჭვი გაივლო.  
უმად ბალისკენ გასწია,  
წაილო გრძელი ლატანი.  
დაბურტყა, გადაარჩინა  
მსხადი, კომში და ატამი.

ჩამონაბურტყი თოვლისგან  
გათუთრდა თოვლის კაცივით.  
ყველანი ეკითხებიან:  
— გოგია, ხომ არ გაცივიდი?  
რა გააცივებს გოგიას,  
ბიჭია მტბად ყოჩაღი,  
ბიჭუნამ კარგი სწავლითაც  
ხომ ასახედა ოჯახი.  
ახლაც სკოლისკენ მოჰკურცხდა,  
სკოლა კი ახლოს როდია.  
გაკვეთილების დაწყებას  
მანაც მიუსწრო გოგიამ.



ი. გრიშაშვილი

ნახატი რ. სტურუასი

## პატარა მარინა არჩევნებზე

დედაჩემს რომ გავყოლოდი  
არჩევნებზე, მეც კი მსურდა,  
მიპასუხეს: „ნორჩი ხარო!“  
ნატვრა ვეღარ შემისრულდა.

ჯერ გავჯავრდი... მაგრამ, იცით,  
გავხალისდი უცბად მერე,  
დავჯექი და უბის წიგნში  
ეს სიტყვები ჩავიწერე:

„მე ხმას ვაძლევ ძია სტალინს,  
და ვუზღავნი კოცნას მრავალს;

მე ხმას ვაძლევ ძია სტალინს—  
ჩემს გაზრდას და ჩემს მომავალს“...

დაწერე და ეს ბარათი  
გავუკეთე ჩემს მტრედს ფრთაში,  
„კრემლისაკენ! კრემლისაკენ!“  
ავაფრინე მალლა ცაში.

სტალინ, ჩვენო სიხარულო,  
სტალინ, ჩვენო ნატურისთვლო,  
გთხოვ, მარინას პატარა ხმაც  
მიიღო და ძიითვლო!

: 951 წ, 18 თებერვალი



# დ ე დ ი ს ხ მ ა

პატარა გურამი, რომელიც რაიონში ცხოვრობდა, მამილამ არდადეგებზე ქალაქში წაიყვანა.

ბევრი სიხარული ელოდა ბავშვს დედაქალაქში.

პირველი სიხარული ის იყო, რომ გურამმა ელექტრომავლით იმგზავრა. მოეწონა გურამს ლურჯად შეღებილი კრიალა ვაგონები, დიდი ფანჯრები; აქედან მოჩანდა, როგორ გარბოდნენ მავთულეზიანი ბოძები, სახლები და მინდვრები.

ქალაქამდე შორი გზა იყო გასავლელი. გურამმა თითებზე დაიწყო თვლა და ყოველ გაჩერებაზე თითო თითს უმატებდა. გარეთ დაბნეულა. გურამს ცვირი უშუაზე მიედო და სივრცეს გასცქეროდა. ერთი სადგურიღა დარჩა...

ესეც თბილისი!

მამილამ ხელი ჩასჰიდა გურამს და აგონიდან ძირს ფრთხილად გადმოიყვანა. მერე მანქანაში ჩასდნენ და გაჩირადნებულნი ქუჩებით გაჰქროლეს. სულგანაბული იჯდა გურამი და აქეთ-იქით იტყირებოდა

— ეს ახალი ხილია! — უხსნიდა მამილა.

— ეს მთავარი ქუჩაა — რუსთაველის პროსპექტი!

— ეს პიონერთა სასახლეა!

— ეს ბერიას სახელობის მოედანია.

მანქანამ ქვევით ჩაუხვია და გაჩერდა.

— მოვედით, ჩემო ბიჭოკო. — ახარა მამილამ.

ახალმოყვანილ სტუმარს მიეგებნენ მამილაშვილები. ყველას გაეხარდა გუ-

რამის ნახვა. ნუნუ თავის სათამაშოებს აჩვენებდა, მისი ძმა გოგი — დასურათებულ წიგნებს, მაგრამ, როდესაც ჩაილოდეს და ძილის დრომ მოატანა, გურამმა უცბად მოიწყინა და ტირილი დააპირა.

— რად მოიწყინე, ხომ არაფერი გტყვივა? — შეწუხდა მამილა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ტელეფონმა გაბმით დაიწკრიალა.

— ალბათ რაიონიდანაა, — თქვა მამილამ და სწრაფად აიღო მილი.

— გურამ, გენაცვალე, მოდი, დედაშენი გელაპარაკება!

გურამი ჯერ დაიბნა, მაგრამ უკრებ მილი რომ შიადეს, დედის ალერსიანი ხმის გაგონებაზე გამხნედა და ძლიერს ლულულედა

— მესმის... დიახ, კარგად!


მერე გატრუნული უსმენდა და ბოლოს მხიარული სახით უთხრა:

— ნახვამდის!

— დედასაც ელაპარაკე, ახლა კარგად დავიძინებთ! — ალერსიანად მიმართა მის მამილამ და თავზე ხელი გადაუსვა.

— ამდენი სადგურები გამოვიარეთ და მე მეგონა ძალიან, ძალიან შორს ვიყავი... ტელეფონით თურმე სულ ახლოს ვყოფილვარ დედასთან! — უხაროდა გურამს.

ის დამშვიდებული დაწვა დასაძინებლად და ტელეფონით საუბრის შემდეგ აღარ გრძნობდა არც განვლილ მანძილს და არც დედის დაშორებას.





გამორეკონსტრუქციონირებული

ნაბიჯი ვახტანგ უფროსისა

## ახალი თბილისი

გახედო, ჩვენი თბილისი  
როგორ იზრდება, მშენდება,  
უბნები წინდება ახალი,  
ფართო ქუჩები შენდება;

გახედო, გაბრუნებულა  
რამდენი სახლი ახალი,  
შეტუბთან სიდი მდებარე,  
ორთაჭაღასთან კამხალი.

გახარებულან ნორები  
კულის და თვალის საღებუნად,  
ბურთონი სანაპიროსი  
მტკვრის მხარეს ერტემის მარტუნანს.

გახედო, როგორ მდებარე,  
როგორ დღითიდგე იზრდება...  
ახალ თბილისის მშენებლებს  
ჩვენი ვაჟა და დიდება!





მისილ ლეჟავა

ნახატი გრ. ჩირინაშვილისა

## საბავშვო სახლი

ერთ დღეს საბავშვო სახლის ეზოში ახალგაზრდა კაცი შევიდა. აიარა კიბე და მისაღებ ოთახში შედგა, მერე შინაურით შეიღო დარბაზის კარი; სამცხალინო ოთახებიდან მასწავლებლებისა და აღსაზრდელების ხმები ისმოდა.

— მეცადინეობენ, — გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა, დირექტორის კაბინეტის კარები შეიღო და იკითხა:

— შეიძლება?

— მობრძანდით! — უბასუხა დირექტორმა.

უცნობმა ჩამოართვა ხელი დირექტორს:

— სანდრო დათუნაშვილი გახლავართ.

— დათუნაშვილი?! გამიგონა... დახ, გამიგონია, — სიხარულით წამოიძახა დირექტორმა, — აქაური თანამშრომლების გედმოცემით, ცოტა რამ ვიცი თქვენს შესახებ.

— ჩემი ბავშვობის წლების ამბავი გეცოდინებთ! დედ-მამა როგორ დავკარგე...

— დახ, როგორ არა!

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სტალინგრადში გაგზავნეს სამუშაოდ, სდაც ოთხ წელიწადს დავყავი. ახლა რუსთავეში ვმუშაობ. იქ დავბინავდი. დღეს კი აქეთ გამოვეშურე, მომენტარა მშობლიური სახლი, სდაც ცხრა წელიწადი გავატარე; ყველაფერი ნაცნობი და საყვარელია აქ ჩემთვის, ანდა, როგორ არ უნ-

და მიყვარდეს, — უდღემა მო, თვალცრემლიანი ბავშვი მომიუფანეს და დავაეცაკებულნი წავედი.

— აი, რა მოვდიქრე: ახლავე შევეკრებთ ბავშვებს, თქვენი ცხოვრების შესახებ გვესაუბრეთ, ჩვენი ბავშვები კი თავიანთ შემოქმედებას გვარჩვენებენ, ასე რომ მშვენიერი ზემი გვექნება! — მიმართა დირექტორმა.

საბავშვო სახლში სანდრო დათუნაშვილთან შეხვედრა დაწყებული იყო. ამ დროს კარებზე კაკუნი გაიხმა. დარბაზში მჯდომმა ბავშვმა კარი გააღო.

სახლში უცნობი კაცი შემოვიდა და იკითხა:

— ეს საბავშვო სახლი არის, ბიძიკო?

— დახ, — თავზიანდა მიუღო ბავშვმა.

— სად შეიძლება დირექტორის ნახვა?

— სახვიმო შეკრებაა. ყველანი დარბაზში არიან, წამობრძანდით, ძია, თქვენც დასწართ! — შესცინა ბავშვმა უცნობს და წინ გაუძღვა.

დიდი დარბაზი სავსე იყო ბავშვებით. მაგიდას აღმზრდელ-მასწავლებლები მშობსდომოდნენ. შუაში კი სანდრო დათუნაშვილი იდგა და უაჰობდა ბავშვებს თავის ცხოვრებასა და შრომაზე: თუ როგორ დაეუფლა მოწინავე ტექნიკას, როგორ გამოიყენა თავისი ცოდნა ყველადღიურ მუშაობაში და როგორ მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

— მხოლოდ ბევრით მეცადინეობა საჭიროა, გაივლის დრო და თქვენც ცოდნით აღჭურვილნი ჩაებმებით შრომაში. ეცადეთ, არ შეარცხინოთ ჩვენი მშობლიური კერა, ჩვენი დიდი ოჯახი—საბავშვო სახლი. გისურვებთ წარმატებებს, ჩემო პატარებო!

სანდროს სიტყვებით ტაშის გრიალმა დაფარა. შემდეგ სცენაზე მომღერალთა გუნდი გამოვიდა. დარბაზში წყრილა ხმები გაისმა,—მღეროდნენ ბავშვები.

სიმღერების შემდეგ აღსაზრდელმა საცეკვაო დაუკრა. ჯგუფად მღვარ ბავშვებს ორი აღსაზრდელი გამოეყო და წრეს შემოუარეს. ხელმეგაშლილი პატარა ბიჭი, თითქოს ფრინავსო,—თითისწვერებზე მისდევდა მოხდენილად მოცეკვავე გოგონას.

უცნობი კაცი ელდანაკრავით წამოიქრა ზეზი, მაგრამ ისევ შეიმაგრა თავი, დაჯდა და თვალს არ აშორებდა თვალეგაბრწყინებულ მოცეკვავე გოგონას.

ცეკვის შექმნე ბავშვებმა ლექსები წაიკითხეს. აი, უფროსმა აღსაზრდელმა გამოაცხადა:

— ლექსს წაიკითხავს აღსაზრდელი თინა ნინიძე!

ისევ შეერთა უცნობი. თეთრკანიანმა გოგონამ გრძნობით ნათქვამი ლექსი ასე დაამთავრა:

„ეჰ, როგორ მინდა, რა გულით მინდა, ასეთ ბედნიერს მიტკერდეს მამა...“

— გიტკერი, შვილო, აქა ვარ! — წამოიძახა უცნობმა კაცმა, ბავშვი აიტაცა და გულზე მიიკრა.

გოგონამ გაოცებით შეხედა უცნობ კაცს, მერე ყელზე მოხვია და აღტაცებით წაიჩურჩულა:

— მამა! შენი ტირიმე, მამიკო...

დიდი თუ პატარა მამა-შვილს შემოეხევა.

— ომის გამოცხადებისთანავე ჯარში გამოიწვიეს,— მიმამოა უცნობმა შეკრებილთ,— მიმედ დავიქერი და მტრის ზურგში მოვხვდი. გამოჯანსაღების შემდეგ პარტიზანთა რაზმს შევედრეთ, ჩემი ოჯახი კი დაღუპულად მთვლიდა. მეუღლე გარდაცვლილიყო, ჩემი ერთადერთი გოგონა თინა უღედმამოდ დარჩენილიყო. მეზობელმა მითხრა: თინა თბილისში, ვაკის საბავშვო სახლში მოვათავსეთო, და მეც აქით გამოვეშურე. დიდი მძღობელი ვარ, ძვრფასო მევაობრებო,— ჩემს ბავშვს სრულიად არ ეტყულება უღედმამომა!

ამ სიტყვებზე მას სინარჯლის ცრემლები მოერია და შვილი გულში ჩაიკრა.

ამთხვეან ჭილაშვილი

დ ა მ მ ა

ნიკო და ლიზიკო, სახლსუკან, კაკლის ხის ძირში ისხდნენ, წენგოიან კაკალს ამტვრევდნენ და გემრიელად შეეცეოდნენ.

უბებები რომ დაიცარიელდეს, ნიკომ ქვები მოაგროვა და კაკალს დაუწყო ჩამოყრა.

კაკლის ჩამოსავდებად გასროლილი ქვა ლიზიკოს მოხვდა.

— ვაიშე დედა, თვალი! — დაიძახა ლიზიკომ, თვალზე ხელი მიიფარა და ატირდა.

— სუ, სუ, ნუ ტირი!.. მოგიჩნება. — აწყნარებდა ნიკო ლიზიკოს და თან სახლისაკენ მიჰყავდა.

დედამ ლიზიკო ექიმთან წაიყვანა. თვალცრემლიანი ნიკო ფეხდაფეხ მისდევდა.

ექიმმა ბავშვს დახმარება აღმოუჩინა და დააიმედა, რომ, თვალი მალე მოუჩრჩებოდა.

სალამოს ნიკო და ლიზიკო ტანტზე ისევ ერთად თამაშობდნენ.

— ლიზიკო! შენ რომ თვალი გაგფუქებოდა, ჩემს თვალს გაჩუქებდი. — უთხრა თანაგრძნობით ნიკომ.


— ცალთვალა რომ დარჩებოდი?! ან რად მინდოდა შენი თვალი; მე თავლისფერი თვალები მაქვს, შენ კი — ცისფერი! — ღიმილით მიუგო ლიზიკომ.

— დამნაშავე ვარ შენთან! — წაიღულულულა ნიკომ.

— არა! ძალად ხომ არ გინდოდა?!

დარცხვენილმა ნიკომ დაიკო სიყვარულით გადაჰკოცნა.

ანა ხახუაშვილი



კვირა დღე რომ გათენდა, მწვანით მორთული მანქანები კოლმეურნეობის კანტორასთან გაჩერდნენ. მანქანები ერთ წუთში ხალხით აივსო და მხიარული ჟრიაპულით ქალისაკენ გაემუზრნენ. აგერ მინდორი, მინდორს მთა დარაჯივით თავზე წამოსდგამია. მთის ქვემოთ გაშენებული ბოსტნები მწვანე კალთებით ბინებენ. მთაზე ელექტროსადგური ამაყად წამომდგარა და ზედ აღმართული დროშა ნიადაქროლილ ყაყაჩოსავით ფრიალებს. ბეტონირებულ კალაპოტში დაქანებულ მდინარის ტალღები ბამბასავით იბენტებიან. ელექტროსადგურთან ხალხი ფუსფუსებს.

კოლმეურნეები მანქანებიდან გადმოვიდნენ, ნათესებში დატრიალდნენ და მზეზე მათი თოხები აპრიალდნენ.

— ნეტავ როგორი იქნება ხელოვნური წვიმა?—იკითხა ხანში შესულმა დარეჯანმა.

— ეს ჩვენი თვალუწვდენელი ბოსტანი რკინის მილებით უჯრა-უჯრა რომ შემოისალტა, გაიგე, ქალო, სხვანაირად უნდა მორწყანო!—უპასუხა ვთერმა და თოხნა უფრო გულმოდგინედ განაგრძო.

ნაშუადღევს საქმიანობა თითქმის ყველამ მოათავა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და აგრონომები მეტად დე-

ლადნენ. ქალის სიგრილეს თავშეფარებული ბავშვები ჰეპლბივით გამოიშალნენ და ბოსტნისაკენ სირბილით გასწიეს. კოლმეურნეები მოუთმენლად ელოდნენ უცხო სანახაობას; ბოსტნის მწვანე ხვევრდში განლაგებულ მიღებთან ინჟინერი რამდენიმე კაცის თანხლებით რაღაცას ათვლიერებდა, ბოლოს ნათესებიდან გზაზე გამოვიდა და პაწია წითელი დროშა აღმართა. მთიდანაც დროშის ფრიალით უპასუხეს.

წუთიც, და მიღებმა აქა-იქ ზუზუნი დაიწყეს, ზუზუნს შიშინი მოჰყვა და უცებ მრავალმხრივ ხშირი შადრევნები აღიმართნენ. ხალხს გულიდან სიამოვნების გუგუნი აღმოხდა. შადრევნების უამრავი შეხეფი მალლა ცაში ფუნჯებად იშლებოდა და ძირს დედამიწას წვრილ, ჟუჟუნა წვიმად ეპკურებოდა. სველ დედამიწას ისეთი სუნი ავარდა, როგორც ნამდივლ წვიმის დროს იცის ხოლმე. მაგრამ ყველაზე ლამაზი კი ის იყო, რომ შადრევნების ბურუსში მრავალ ადგილას ცისარტყელას თაღები გაჩნდნენ. ხალხი აღტაცებით აჟრიაპულიდა. მოხუცებულმა დარეჯანმა წამოიძახა:

— გენაცვალეთ, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! დიდება ამის მომგონს! ისე აბუბუეებს მოწყურებულ დედამიწას, თითქოს მისის ჟუჟუნა წვიმა იყოს!

დარეჯანის გვერდით აღტაცებული ბავშვები ხტოდნენ, ცმოკავდნენ და ერთ ალაგს ვერ ისვენებდნენ.

პატარა ცირაც იქ იყო. ცისარტყელების დანახვაზე თვალგაბრწყინებულმა ბავშვმა ტაში შემოჰკრა: უიმე, ცისარტყელა რა დაბლა ჩამოსულაო,—მერე გაქანდა, შადრევნებში ჩამდგარ ცისარტყელას დასაქერად ხელი გაიმვირა და შიგ შუა წვიმაში კი გადაეშვა!





ლალ მკვლავილი

ნახატი ალ. ხანძელაძისა

## საბჭოთა მებრძოლის სიმღერა

მე არმიელს მეძახიან,  
 მხნედ დავდივარ მთა და ბარში;  
 მე იქა ვარ, მეგობრებო,  
 გმირ საბჭოთა ხალხის ჯარში.

მე ყველგან ვარ: აი, თუნდაც  
 ზღვაში, გემზე მეზღვაურად;  
 ან კაპიტნად, ათეულის,  
 ასეულის მეთაურად.

ხან ტანკში ვარ და გუგუნით  
 ვუვლი საზღვრებს სადარაჯოდ,—  
 ელვის უმაღ იქ გავჩნდები,  
 ტანკით ბრძოლა სადაცა სჯობს.

და თუ გემი გიცავთ ზღვიდან,  
 თვითმფრინავი გიცავთ ციდან,  
 ხოლო ტანკი ფოლადისა  
 მტრისგან გიცავთ ხმელეთიდან,—  
 მე იქა ვარ, მეგობრებო,  
 და თქვენ გიცავთ ყველა მხრიდან!



მ. თოშაძე

ნახატი გრ. ჩიჩინაშვილისა

## პ ა პ ა ს ნ ი შ ა ნ ი

პატარა ზურიკომ ზაფხული სოფელში გაატარა. სოფლის ახლოს საშხედრო ნაწილი იყო დაბანაკებული. ზურიკოს ძლიერ მოსწონდა, როცა საბჭოთა არმიელები მხედრული სიმღერით სოფლის შარაზე გამოჩნდებოდნენ; ზურიკოც მათთან ერთად სიმღერას შემოსძახებდა ხოლმე.

ერთხელ ზურიკო და პაპა აივნაზე ისდნენ და მსხალს შეექცეოდნენ. უცებ არმიელების სიმღერა მოესმათ.

— მოდიან, მოდიან! — შესძახა აღტაცებით ზურიკომ და მათკენ გაქანდა; დიდხანს შესცქეროდა იგი სიმღერით მიმავალ ჯარისკაცებს, ხოლო, როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ისევ პაპასაკენ გაიქცა.

— პაპა, მე არ მიმიღებენ საბჭოთა არმიაში? — ჰკითხა ზურიკომ პაპას.

— არა, ჯერ პატარა ხარ! — მიუგო პაპამ.

— მაინც რამოდენა უნდა გავიზარდო, რომ მიმიღონ? — აღარ ეშვებოდა ზურიკო.

— აი, ამოდენა! — მიუგო პაპამ და კედელზე ფანქრით ნიშანი დაადო.

— უპ, რა მაღალია, ხელითაც კი ვერ ვწვდები, — თქვა ნაღვლიანად ზურიკომ. — მერე, რა უნდა გავაკეთო, რომ ჩქარა გავიზარდო მაგოდენა?

— უნდა კარგად სჭამო, — მიუგო პაპამ, — რძე უნდა დალიო, წენიანი, შექამანდი... ერთი სიტყვით, რასაც კი დიდელა მოგიშადებს, ყველაფერი უნდა სჭამო.

ამის შემდეგ ზურიკოს რასაც კი დაუმზადებდა დედელა, არაფერზე უარს არ ამბობდა, ყველაფერს მიირთმევდა. მხოლოდ ერთი ჩვეულება დასჩემდა: როგორც კი რასაქე შეჭამდა, მაშინვე წამოიძახებდა: — აბა, ახლა რამოდენა გავიზარდე? — მიიბრუნდა კედელთან, სადაც პაპას მიერ აღნიშნული ნიშანი იყო და

დაეტოლებოდა. მაგრამ ნიშანს რომ ვერ  
სწვდებოდა, მოწყენილი გაბრუნდებოდა  
ხოლმე.

ასე ვალიდონენ დღეები.  
ალბათ პაპამ სწორად ვერ დახაზა  
ნიშანი, ცოტა მაღლა მოუვიდა, — ფიქ-  
რობდა ზურიკო, — რით ველარ გავიზარ-  
დე? კვერცხებიც ბევრი ვიხეველით, რძე-  
საც ჩაის ჭიქებით ვსვამ, ხილს ხომ აუა-  
რებელს მივირთმევ, და პაპას ნიშანმდე  
მაინც ვერ იქნა, ვერ ვწვდები!

— პაპა, გენაცვალე, არ შეიძლება,  
რომ ნიშანი ცოტა ქვევით ჩამოსწიო? —  
შეხვეწევა ერთხელ ზურიკო პაპას.

პაპამ ღიმილით მოუსმინა თავის მაღ-  
ხაზ შვილიშვილს და დინჯად მიუგო:

— ეჰ, ჩემო ზურიკო, ადრე მოგიხდო-  
მებია ჯარში სამსახური; ცამეტი წელი-  
წადი მაინც უნდა იზარდო, რომ იმ ნი-  
შანს გაუსწორდე და ჯარისკაცად მი-  
გიღონ.

— ბევრია ცამეტი წელიწადი? — მოუ-  
თმენლად შესძახა ზურიკომ.

— როგორ გითხრა, — მიუგო პაპამ, —  
არც ისე ბევრი: ცამეტი ზამთარი, ცამე-  
ტი გაზაფხული, ცამეტი შემოდგომა...

— უჰ, რა ბევრი ყოფილა! — ამოიოხ-  
რა ზურიკომ. წარბები შექმუხნა და შეს-  
ძახა:

— მომეცით ჩემი თოფი, ჩემი ხმალი,  
ჩემი „კოხტა ცხენიც“ აქ მომგვარეთ! —  
და თან თვითონვე დატრიალდა: ხმალი  
გვერდზე ჩამოიკიდა, თოფი ზურგზე  
მოიგდო, ცხენს აღვირში სტაცა ხელი  
და ასე მორთულ-მოკაზმული ოთახ-  
გაჩერდა. ხმაურზე დიდედაც შემოვიდა  
და ალერსით შესცქეროდა თავის შვი-  
ლიშვილს.

პატარა მხედარმა ცხენს ხელი შეუ-  
შვა, წელში გასწორდა, მტკიცე ნაბიჯე-  
ვით ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე პა-  
პას და დიდდას მიუახლოვდა, ფეხი ფე-  
ხზე შემოჰკრა და ხმაშლიდა შესძახა:

— არ მინდა პაპას ნიშანი, მორჩა და  
გათავდა, ასეც კარგი მხედარი ვარ! აბა,  
ჩემო დიდედო, სათვალეები გარკეთე და  
კარგად შემომხედე!

ზურიკო ცხენს სწრაფად მოახტა და  
მხიარული სიმღერაც შემოსძახა.

მღეროდა ზურიკო და თან ოთახში  
დააგორებდა თავის „კოხტა ცხენს“.  
მერე ისევ დიდდასთან და პაპასთან  
მიიბრინა. პაპას ცოტა არ იყოს უნდო-  
ბლად შეხედა, დიდდას კი კალთაზე  
ხელით შემოხვია და მუდარით მიმართა:

— ხომ კარგი ჯარისკაცი ვარ?

— კარგი, ძალიან კარგი! — ალერსით  
უთხრა დიდედამ და თან პატარა მხე-  
დარი გულში ჩაიკრა.


## ბუნების გამოვლინება

### შოშის ბუდე

ბარში თოვლი დადნა, დაიძრნენ ნიაღვრე-  
ბი, შემწვანდნენ ველ-მინდვრები და ტოტებს  
კვირტი დააჩნდა.

უკვე გაჩნდნენ ენძელები და იები.  
მაღე შოშებზეც მოფრინდებიან.

ვისაც სურს, რომ შოშია მის ეზოში დასახლ-  
დეს, უკვე აშაიდებს მისთვის ბუდეს: თლის,  
ხერხავს, ოტატობს. შოშის ბუდე ჟნოა იყოს  
სუფთა და კოხტა; კარი პატარა უნდა ჰქონ-  
დეს, რომ შიგ კატა ვერ ჩაძვრეს.







## ბაჭიები თოვლში

როცა ბაჭიები იბადებიან, მინდორში ჯერ კიდევ თოვლია:

ახალ დაბადებულ ბაჭიებს თვალები ახელილი აქვთ და თბილი ქურჩით არიან შემოსილნი, როგორც კი გაჩნდებიან, მაშინვე შეუძლიათ ცუნცული. მოსწოვენ დედის ძუძუს და ბუჩქებში მიმოიფანტებიან.

გადის ერთი დღე, მეორე, მესამე... დედა კურდღელი მინდვრებში დაცუნცულებს, — შვილები აღარც ახსოვს. ბაჭიები ბუჩქებში განაბულან; იციან, რომ სახეფათოა ტრიოდ მინდორში გასვლა; ან მელა წაიყვანს, ან მიიწიო.



და, აი, ბოლოს გამოჩნდება კურდღელი ეს „დედა-კურდღელი“ — სხვა ბაჭიების დედა. მიესევინ ბაჭიები: ძუძუ გავაწოვო. სიამოვნებით, მიირთვითო, — ეტყვის აღერსიანი „დედა-კურდღელი“, დანაყრებს სხვის შვილებს და გზას განაგრძობს.

ამათი დედა კი, თუ საჭირო გახდა, სხვის ბაჭიებს აწოვებს ძუძუს. ასე მოსდგამთ კურდღლებს: არ არჩევენ საკუთარსა და სხვის

შვილებს. არც ბაჭიები გრძნობენ თავს ცუდად. თბილი ქურჩი აცვიათ, ტპილსა და ნოყიერ რძეს შეექცევიან, გაძღებიან და რამდენიმე დღის განმავლობაში არ შვიდებიან.

მერვე-მეცხრე დღეს ბალახიც აშოვა და ბაჭიები ახლა ბალახს შეექცევიან.

## მშვიერი დათუნები

დათუნებს თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში სძინავთ.

ნორჩმა ნატურალისტებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ბუნების გამოვლენებს, დათვის ბუნავს მიაგნეს და დიდხანს დარაჯობ-



დნენ, — უნდოდათ გაეგოთ, როდის და როგორ გაიღვიძებდა დათვების ოჯახი.

უცებ შეინძრა თოვლით დაფარული ბუნაგის ხერხელი და დათვის შავი დრუნჩი გამოჩნდა. ეს იყო დედა დათვი. მას თან გამოჰყავა ორი პატარა ბული. დედა დათვა გააღო თავისი უზარმაზარი ხახა, დამთქნარა და ტყისაკენ გასწიბ. ბელები ბტუნვით დაედევნენ. ისინი თვალს მიეფარნენ და ნორჩმა ნატურალისტებმა შენიშნეს, რომ დედა დათვი ძლიერ გამხდარიყო. ზამთარში უჭკელობით ტანზე ტყავი ჩამოჰკიდებოდა.

ახლა ის ტყეებში იხეტიალებს, ვახუნხულის მზეზე ვაიბებვა, ამდენი ძილის შემდეგ დამშეულია და შეჰკამს ყველაფერს, რაც მოხვდება: ხის ფესვებს, შარშანდელ ბალახს, და, თუ შემთხვევა მიეცა, არც ბაჭიას გაუშვებს ხელიდან.

# საგანათლებლო ეშმაკობა

ტყეში მტაცებელი ცხოველები საშველს არ აძლევენ უწყინარ ფრინველებს და კურდღლებს. ზამთარში კურდღლები და კაცბები თოვლს ეხამებანი.

ახლა კი თოვლი დნება, შვიი მიწა ჩნდება და მგლები, მელიები, მიმიჩოები და თვით პაწაწინა მტაცებლები: სინდიოფალები შორიდანვე ამჩნევენ თეთრბეწვა კურდღლებს და თეთრბუმბულა კაცბებს.



და, აი, კურდღლები და კაცბები გარეშოს ასე ეხამებანი: კურდღელი იქუცება და ნაცრისფერი ბეწვით იმოსება, კაცბებს თეთრი ბუმბული სცივიათ და ახალი ჟანგისფერი ბუმბული ამოსდით. ახლა ისინი შენიღბულნი არიან და მათი ცნობა არც ისე ადვილია.

არც მათი მტრები დარჩნენ შეუხამებლად: ყარყუმი და სინდიოფალა თეთრები იყვნენ ზამთარში, ახლა კი ფერი იცვალეს—ნაცრისფერი ბეწვით შეიმოსნენ.



საქართველოს  
საგანათლებლო  
სისტემა

## შურიანი ფისო

ნახატები ი. გაბაშვილისა



1. ყურშას წყალი მოსწყურდა.—წედან რომ გწყუროდა, სად დალიე?—ჰკითხა კატას.— არ გეტყვი! რომ გათავდეს, მირე მე რაღა ექნა?—მიუგო კატამ.



2. გულდაწყვეტილი ყურშა სახლის კუთხეში ჩაცუცქდა. უცბად თავზე წყლის წვეთი დაეცა, ზევით აიხედა და დაინახა,—სახურავის ძირში ყინულის ლოლები ეკიდა.



3. გახარებულმა ყურშამ პირი დააღო და სიამოვნებით ყლოპავდა მოწანწკარე წყალს. კატამ ეს რომ დაინახა შეშურდა და ყურშასთან მიიბრინა.—ახლა მე დავლევ:—უთხრა ცუვას ფისომ.



4 — სიამოვნებით, დალიე! — მიუგო ყურშამ და მეგობარს ადგილი დაუთმო. კატამ პირი დააღო თუ არა, ყინულის ლოლუა მოტყდა და შურიან კატას თავზე დაეცა.





ყდაზე: „მესახლერე“ ნახატი ს. შაისაშვილისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ შარვაშიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაცუ. მარტვილიშვილი, ი. სიხარულიძე, ნუნაქოშვილი, შ. ცხადაძე.

Д. И. Л. А.—ежемесячный детский журнал ЦК ВЛКСМ ГРУЗИИ № 4, Февраль, 1951 г. Тбилиси, Листина 14. Изд. „Коммунист“ გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: ძაღლისი ლენინის 14. მ ხართკედ. 3-47-38 გამომც. შეჯ. № 2 სტამბის შეჯ. № 121. მამ ტირაჟი 7140 უე 01184. ტექსტი ანუოზილია ღ. პ. ბერისას სახელობის პოლიგრაფიკულმა ინსტიტუტის სტამბაში. კერნალი დაბეჭდილია ოცდების სისტემის მანქანებზე „ზარია უსტოლკას“ სტამბაში: თბილისი, რუსთაველის ქროსი. № 12.

